# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 267. ხუთშაბათი, 4 ნოემბერი 1904 წ. გაზეთის № 2660.

# ა მ ბ ა ვ ი

მაქსიმ გორკისა*)

გავიდა დრო. ჩვენ საავგარაკოთ წავედით. ამ დროს მივიღე წერილი პირველ სატრფოსაგან, ვისი სიყვარულიც დიდხანს გულიდან არ მომშორებია, რომელიც მე სიკვდილისგან გამოვიხსენი. იმას თურმე ცოლი შეურთავს, შვილი შესძენია: ერთის სიტყვით ბედნიერებითა სტკბებოდა; ჩემი თავგადასავალი შეეტყო და მთხოვდა, მიიღე ჩემგან, როგორც ძმისგან, სამასი მანეთიო. რასაკვირველია, ფული სიამოვნებით მივიღე და ებრაელს შემწეობა აღმოვუჩინე. იმან შეიტანა სახელოსნო გამგეობაში ხვედრი ფული და ამით განცხადების გამოკვრის ნება მიიღო. ამის შემდეგ იმისი საქმე ჩინებულად წავიდა და ეს გულს მიხარებდა. დახმარება გავუწიე აგრეთვე მის ცოლს, რომელმაც ვაჭრობის ნებართვა მიიღო და მე ახალ-ახალ ხილს პროცენტად მთავაზობდა ხოლმე.

ასე და ამ რიგად მიდიოდა საქმე; მაგრამ ეტყობა ბედი არა მწყალობდა: ჩემ მოტრფიალეს, ჩემ ნამუსის ამხდელს გაუგია, რომ მე ქ. მ-ში ვიყავ, მაშინვე მოვიდა, მომნახა და დაიწყო ჩემთან ხშირი სტუმრობა, ვითომ ჩემი ძმა იყო. მე ჯერ არ ვიღებდი. მაგრამ მუქარამ შემაშინა. ადგილის დაკარგვა არ მინდოდა და ამიტომ წინააღმდეგობა ველარ გავუწიე. ეს კი აჭარბებდა თავის სტუმრობით, ცალკე დიასახლისს ჩემზე ათას გვარი ხმები მისდიოდა და ბოლოს იძულებული გავხდი, იქიდან წავსულიყავ. ფული მქონდა და ამიტომ გავეშურე ნაცნობ ებრაელის ოჯახში და ბინა დავიქირავე. მინდოდა დასვენება, მაგრამ არ იქნა: ის მოუსვენარი ვაჟბატონი აქაც გაჩნდა. იმისი ყოველ-დღე სიარული ამხანაგებით, მუდმივი სმა-ქეიფი მოსვენებას აღარ მაძლევდა. დადგა ოქტომბერი. იმან ქალაქ მ-ში დააპირა წასვლა და მითხრა, თან წამყევიო. დიდხანს არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე წასვლა. იმედი მქონდა, სხვა ქალაქში ცხოვრება შემიმსუბუქდებოდა, მით უფრო, რომ ქ. მ-ი საშინლად შემძაგდა... აქ ბევრი გაჭირვება მენახა, ბევრჯერ აქ თავის მოკვლა დავაპირე. იმისი კი არა მწამდა რა; გულში საშინელ სიძულვილსა ვგრძნობდი, მაგრამ მაინც დიასახლისის და ცოლის, თუ უბრალო საყვარლის მოვალეობას მაინც ვასრულებდი. მე მივდიოდი, მეგონა გავერთობოდი, თავდავიწყებას მივეცემოდი, ვფიქრობდი, სხვა ქალაქი, სხვა სანახავები—მეთქი და რა ვიცოდი, რა მომელოდა იქ ამ საქმის გადასაწყვეტად მაინცა და მაინც თავს არ ვიტეხდი: სულ ერთია, ვფიქრობდი, ხომ მაინც ნამუს-ახდილი ვარ, და თუ ცხოვრება გასჭირდა, თავსაც გავყიდი მეთქი.

მივედით ქ. ნ-ში. მე იქ ოთახი დავიჭირე, ვცხოვრობდი ერთ თვეს, ორს. ვიცოდი, რომ ჩემ უკანონო მეუღლეს არა გააჩნდა რა და ჩემის ფულით სცხოვრობდა, მე მართალია, უკანასკნელი გროშები მებადა, მაგრამ გულკეთილობისა გამო იმას ფულს ვერ ვუჭერდი. საქმე იქამდის მივიდა, რომ მოსამსახურის ადგილი ვიშოვნე ერთ პატარა ოჯახში. მეგონა ის ვაჟბატონი თავს დამანებებდა, მაგრამ არა. იქაც თავის სტუმრობას არ მაკლებდა და თუ რამე საშუალება გამაჩნდა, იმას მიჰქონდა.

მალე ისევ გამოიცვალა გარემოება. იმას ქ. მ-ში ჰყავდა დედა, ძმა და და. და საქორწილოდ ემზადება: სწერდნენ, უთუოდ მოდიო. ამავე დროს იმ ოჯახს, სადაც მე, ვმსახურობდი, დეპეშა მოუვიდა მამის გადაცვალების შესახებ და ქ. მ-ში იბარებდნენ. ასე ყველა წავიდ-წამოვიდა და ისევ მარტო დავრჩი უცხო ქალაქში. 10 თვე გავატარე იქ და ამ დროის განმავლობაში სულ ერთ ალაგას ვიჯექ, არსად არ დავდიოდი და ნაცნობებიც არა მყავდა. გავეშურე ძველ ბინისაკენ. ვიკითხე შუა-მავალი კანტორა, ჩავეწერე, მაგრამ ადგილის შოვნამდის უნდა თავი როგორმე შემენახა, და მეც ვაკეთებდი იმას, რაც ხელში მომხვდებოდა: ვრეცხდი, ვკერავდი, ერთის სიტყვით, ვასრულებდი ყოველგვარ უსუფთაო საქმეს. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ბინაზე ცხოვრებამ თავი მომაბეზრა: ყველა სასაცილოდ მიგდებდა, შენისთანა ლამაზი და ახალგაზდა ქალი განა აგრე ღარიბი უნდა იყოსო? მარტო ღმერთმა იცის, რა რიგად ვიტანჯებოდი იმ



ლიაოიანის პოზიციებზე.

დროს, რამდენი ცრემლი დამიფრქვევია, მაგრამ მაინც ვერიდებოდი გარყვნილებას, თუმცა ერთის მხრივ კარგი, მიმზიდველი ცხოვრება იყო, მეორეს მხრივ კი შიმშილ-სიცივე. ოჰ,

*) იხ. „დამატება", № 265.



პოლკ. მელიქოვი,
დაიჭრა 20 აგვისტოს ლიაოიანთან.



პოდპოლ. თავ. ესტატე ჩერქეზიშვილი.
დაიჭრა შახეს ბრძოლაში.

სამშვიდებლად ჩაიზე მიმიწვია. რასაკვირველია, დავთანხმდი. ღმერთო ჩემო! რა ძნელია ჩემი წარსულის გახსენება, თუმცა არც. ეხლანდელი მდგომარეობაა სახარბიელო.

შევაგროვე, თუ რამე ნივთები მებადა და ვთხოვე დიასახლისს გაეყიდნა, სახლის ქირაც აელო, ჩემთვისაც მოეცა. იმან ნივთები მართლაც გაჰყიდა, მაგრამ ჩემთვის მოსაცემი აღარა დარჩენია რა; პირ იქით, ბინიდან დამითხოვა. იძულებული გავხდი იმავ სახლში სხვა მდგურებს შევკედლებოდი. წაველ უკანასკნელად კანტორაში, გამეგო, იყო ჩემთვინ სადმე ადგილი თუ არა. არაო,—მიპასუხეს იქ. მეც სასოწარკვეთილებისაგან ავტირდი და უგზო-უკვლოდ აქეთ-იქით ვეხეტებოდი. შინ წასვლა აზრადაც არ მომდიოდა: ან კი რად უნდა წავსულიყავ? მისთვის რომ ათასჯერ გამეგონა ერთი და იგივე? მტანჯავდა ჩემი მდგომარეობა; ვამბობდი, სად გამოვჩდე, ვის შევჩივლო, ვინ შემიბრალებს? არა, სიკვდილი სჯობია, ასე ცხოვრება შეუძლებელია. აი რა აზრი მიტრიალებდა თავში. აგერ წინ შემეხვა ერთი მოხუცი, რომელმაც გამომკითხა ვინაობა და ყოველივე ჩემის მდგომარეობის შესახებ. მე პასუხად ცრემლების მეტი ვერა მოვახერხე რა. მთხოვა, ამეხსნა მისთვის ყველაფერი დაწვრილებით და გავყევ ჩაის დასალევად, რადგან მთელი დღე მშიერი ვიყავი.

დავლიე ჩაი, სული მოვიბრუნე და მაშინვე ვუამბე იმ მოხუცს თავ-გადასავალი. იმან აღმითქვა შეძლებისამებრ დახმარება და სამაგიეროდ სიყვარული მთხოვა. ასეთი წინადადება სამწუხაროდაც დამრჩა და სასაცილოდაც. ოთახი ხანში შესულ ადამიანებთან დაიჭირე, ახლო-მახლოს ახალგაზდობა არ იყოს და დანარჩენი ჩემი საქმე იყოსო. მე ვუთხარი, მოვიფიქრებ და პასუხს ერთი კვირის შემდეგ მოგცემ მეთქი. დავეთანხმე, და დავეთანხმე იმიტომ, რომ ჩემი მდგომარეობა აუტანელი იყო. სულ ზნეობით დაცემას ისევ ერთ კაცთან ცხოვრება ვარჩიე. იმედი მქონდა, საქმეს გამოვაკეთებდი, სუფთად ჩავიცვამდი და ქ. მ-ში დავბრუნდებოდი. დავიჭირე ბინა, საჭირო ავეჯი იმან მომიტანა და დაიწყო ჩვენი ერთად ცხოვრება. მერე ცხოვრება იყო? ის ძალიან კრიჟანგობდა, თუმცა ბევრს არას ვთხოვდი, დიდ ხარჯს არ ვაყენებდი. გარდა ამისა მე არ ვიცოდი, როგორ დამეჭირა თავი მასთან. მრცხვენოდა იმისი, როგორც მოხუცისა, ვერ ვახერხებდი იმასთან ლაპარაკს; ის კი მუდამ მთხოვდა ალერსს და სიყვარულს, რაც მე ვ?ჯარ შემეძლო, ცბიერება არ მიყვარდა და ამიტომ აშკარად მართალს ვეუბნებოდი: მე შენთან თუ ვცხოვრებ, მარტო ჩემის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მეთქი.

დღითი-დღე ჩვენი დამოკიდებულება იცვლებოდა; მე უფრო მეტი მოვთხოვე, იმან კი ეჭვიანის თვალით დამიწყო ცქერა, ყოველ ჩემ ნაბიჯს თვალს ადევნებდა, მუდამ საყვედურს მეუბნებოდა, შენ ღარიბი ხარ, მე გამოგიხსენი და ამისთვის მთელ სიცოცხლეში ჩემი მადლობელი უნდა იყო, უნდა გიყვარდეო. როცა ეს ბებერი სიყვარულს ახსენებდა, ყოველთვის მეცინებოდა და ვეუბნებოდი: შენ შეიძლება გიყვარდე, მე ახალგაზდა ვარ, შენ კი ცალი ფეხი სამარეში გიდგას, განა შეიძლება შენი სიყვარული მეთქი? შემეძლო პატივისცემით მოვპყრობოდი, მაგრამ ის არა თუ კარგად არ მივლიდა, ხან-დახან რაც აუცილებლად საჭირო იყო, იმის დაკმაყოფილებაც არ უნდოდა. მალე მომბეზრდა ასეთი ყოფნა და გამოვიცვალე ყოფა-ქცევა. მე თავისუფლება მწყუროდა, აქ კი სული მეხუთებოდა, რასაც მოვინდომებდი, ყველაფერზე უარს მეუბნებოდნენ. ვსთხოვე ჩემთვის საკერი მანქანა ეყიდნა, ვიმუშავებ, ფულს ვიშოვნი მეთქი, მაგრამ ის არ მაძლევდა და მე მუდამ თხოვნა მეზარებოდა. არ ესმოდა იმ ბებერს, რომ ახალგაზდა ქალისათვის საჭირო იყო ფული. ამის მაგივრად მუდამ მეჩიჩინებოდა, ჩემ ფრთებ ქვეშ თავს იფარებ და ამავე დროს ახალგაზდა სატრფოს ეალერსებიო. ამით მოთმინებიდან გამოვყავდი, თუმცა ჩუმად ვიყავ, არას ვამბობდი. როგორც იქნა, საკერავი მანქანა ვიშოვნე, სამუშაოც გამიჩნდა და საკუთარი ფულის შეძენა დავიწყე. ამის შემდეგ სუფთად ვიცვამდი და მოხუცს ეჭვი ეზრდებოდა; არ მოსწონდა, რომ მე საკუთარის შრომით ფულს ვშოულობდი, ეგონა, მოვშორდებოდი თავიდან, და შეშინებულმა საჩუქრების ზიდვა დაიწყო. საჩუქარს ხელში არ მაძლევდა, შორიდან მაჩვენებდა და მადას მიძრავდა. იმას თავის დღეში არას გამოვართმევდი, არც არას ვთხოვდი, მაგრამ ვიცოდი, შეძლებული იყო და ამიტომ იმის საქციელს მოთმინებიდან გამოვყავდი. ასეთ ბებერთან ცხოვრება, უგულოდ, უსიყვარულოდ, თავის გაყიდვა ლუკმა პურისათვის! მზად ვიყავ ასეთ დამცი-



პორტ-არტურის დრუჟინა.

რებისათვის სიცოცხლე' გამოვსალმებოდი. შემეზიზღა იგი, ვდევნიდი, ხელსა ვკრავდი, მაგრამ თავიდან ვერ ვიშორებ-



იაპონელი პარლამენტიორი პორტ-არტურის სიმაგრეზე.

დი,—ძალიან გულგრილი იყო ეს ადამიანი. პირში აშკარად ვლანძღავდი, მაგრამ იმას გული არ მოსდიოდა. ბოლოს იმავე სახლში, სადაც ჩვენ ვიდექით, გავიცანი ერთი ოჯახი, ოჯახი მხიარული. მოზრდილი ბავშვები, ახლად მოსული ძმა პეტერბურგიდან. დავიწყეთ ერთად სიარული და სიამოვნებით დროს გატარება. მოხუცი ბრაზდებოდა, მაგრამ მაინც არა სცდილობდა ჩემთვის რამე სიამოვნება ეჩვენებინა. იმის მიერ ციხეში ჩამწყვდეული ეხლა სამაგიეროს ვუხდიდი. არ ვატყუებდი, ათასჯერ მითქვამს იმისთვის, მძულხარ-მეთქი. ბოლოს გადავწყვიტე მომესპო იმასთან ყოველივე კავშირი. მე გამიტაცა ერთის ახალგაზდა კაცის სიყვარულმა. ეს არც საკვირველი იყო. ადვილი წარმოსადგენია, რას ნიშნავს მთელ წელიწადს ერთ ალაგს, ოთხ კედელს შუა ცხოვრება და მერე ცხოვრება ისეთ ადამიანთან, როგორიც ის მოხუცი იყო.

მე და ეს ახლად გაცნობილი დავსეირნობდით მუდამ ერთად, მოურიდებლად. ეს კიდევ ცოტაა. მე მოვიწვიე ჩემი სატრფო სახლში, რათა უფრო ნათლად დამემტკიცებინა იმ მოხუცისათვის, რომ ის ჩემთვის საჭირო აღარ იყო. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ჩვენ დავშორდით ერთმანეთს, დიდის დავიდარაბის შემდეგ. განთავისუფლდი და სხვის ხვევნა-ალერსს მივეც თავი. მიყვარს ის ყმაწვილი გაგიჟებით. ვეჭვიანობდი, თვალს ვადევნებდი ყოველ ფეხის გადადგმაზე. ჩაცმა-დახურვა ისე დავიწყე, როგორც იმას მოსწონდა! სად და როგორ ვშოულობდი ფულს, ის არ მეკითხებოდა. ისე ძალიან ვცდილობდი იმისთვის თავი მომეწონებინა, რომ ზნეობრივ ჩემ სიფაქიზეს აღარაფრად ვაფასებდი; ესა და ეს ტანისამოსი შენ ძალიან მოგიხდებაო, მეუბნებოდა და მეც ორი-სამი დღის შემდეგ ასეთ ტანისამოსში გამოვეწყობოდი ხოლმე. წინად ლუკმა პურის საშოვნელადაც ვერიდებოდი გარყვნილებას, ეხლა კი მარტო იმის პირად გემოვნების დასაკმაყოფილებლად ვყიდდი ჩემ თავს.

ოჰ, რა სიბრმავე, რა სისულელე იყო ჩემის მხრივ! მალე მოვედი გონს. იმ ვაჟბატონმა გულგრილად დამიწყო მოქცევა, ჩემთვის თავისუფალი დრო აღარა ჰქონდა და სულ

ისეთი სცენა მოხდა, რომ მე გადაჭრით ვუთხარ, ჩვენ შორის საერთო აღარა არის მეთქი. ასე დავშორდით ერთმანეთს. ჩემი თავი მებრალებოდა, ვნანობდი, რომ ასეთ ტუტუცის გულისათვის პატიოსნებას ვყიდდი. დავიწყე ისევ მარტოხელად ცხოვრება, ვმუშაობდი და ვცხოვრობდი. ორ ოჯახში ბავშვი მოვნათლე. ერთი ბავშვი უკანონო ცოლქმრის შვილი იყო. იგი აღსაზრდელად ავიყვანე და ისე შევეჩვიე, რომ არავის არა სჯეროდა, თუ ის ჩემი საკუთარი შვილი არ იყო. მე მუშაობასაც ვასწრობდი და ბავშვსაც ვუვლიდი დედასავით. ასე გავიდა ოთხი თვე. ბავშვი ავად გახდა და გარდაიცვალა. 12 დღე ავადმყოფობდა ბავშვი და მთელი ეს დრო სრულებით არ დამიძინია, მუდამ ბავშვს თავზე ვადექი. ვერც ექიმმა, ვერც წამალმა ვერ უშველა. გარდაიცვალა და დავასაფლავე უკანასკნელის გროშებით. მეორე ნათლული არ მიყვარდა და არც მიყვარს, ხოლო თუ რამეს ვაკეთებ იმისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი თავი მოვალედ მიმაჩნია. ბინა კარგი მქონდა, ამხანაგიც შევიძინე: ვფიქრობდი, ცხოვრება უფრო ადვილი და მხიარული იქნება ამხანაგთან მეთქი. არც იმისი მდგომარეობა იყო სახარბიელო, თუმცა სცხოვრობდა ერთ ვიღაც შეძლებულ ვაჟბატონის ხარჯით. ამხანაგს სამუშაო ბევრი ჰქონდა, მაგრამ უმანქანოთ მუშაობას ვერ ახერხებდა. მე კი ამ დროს საქარგავი მქონდა და ამიტომ მანქანა იმას ვათხოვე; მანაც გააჩაღა სამუშაო. ამხანაგს ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე იმისი მფარველი თავის მეგობრებით და იმათი სტუმრობა არღვევდა ჩვენ წყნარს ცხოვრებას. ამათ გროვაში მე სულ განმარტოებულად ვგრძნობდი თავს, ვერც ერთი მათგანი ჩემ ყურადღებას ვერ იზიდავდა. ხშირად მე და ჩემი ამხანაგი ლაპარაკში იმ აზრამდე მივიდოდით ხოლმე, რომ მე ვითომ ცხოვრების მიზანი დამკარგოდეს, სიყვარული ჩემთვის შეუძლებელი ყოფილიყოს. ნუ თუ ეს ასეა?—ვეკითხებოდი თავს.—დიახ მართალია! მერე რომ მიყვარდა ოდესღაც? მიყვარდა, მაგრამ უმანკო ბავშურის სიყვარულით. გატაცება, თავდავიწყება სიყვარულისა გამო კი არ მახსოვს. მინდოდა კი გამომეცადნა ეს სასიამო გულის ძგერა, მაგრამ ჩემს გარეშემო ვერავის ვხედავდი ისეთს, რომ იმის სიყვარულს მოვეხიბლე და გავეტაცნე. ყველასთან მხიარულად, ზრდილობიანად მეჭირა თავი, მხოლოდ გული არავისზე არ მიმდიოდა. ხშირად ჩემ ამხანაგზე ჯავრიც-კი მომდიოდა; რა საჭიროა ბრბო ნაცნობებისა, რომელიც ხელს გვიშლის საქმიანობისა და ოცნებობის დროს, ვამბობდი ჩემთვის.

ერთხელ ამ უსაქმო ბრბოს მოჰყვა თან ერთი უცნობი კაცი, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიქცია. ახლად მოსული სახის გამომეტყველებით მაგონებდა იმას, ვინც პირველად



ბრძოლის ველზე იაპონელების ბანაობა.

მიყვარდა. ერთი თუ ორი საათის საუბრის შემდეგ ერთმანეთს

ლიყავით. იგი ყოველდღე გვესტუმრებოდა ხოლმე და დანიშნულ დროს მეც მოუთმენლად ველოდი. მოხდა ის, რასაც მოველოდი: მე ოცდაოთხის წლისა ვიყავი და დავიწყე იმასთან ცხოვრება. პირველ ხანებში არ მიყვარდა, მაგრამ შემდეგ უიმისოდ ველარა ვძლებდი. ვიცოდი, როდისა ჰქონდა თავისუფალი დრო და ვიტანჯებოდი, როცა ამ დროს ვერა ვხედავდი. მე ხელმოჭერილად ვცხოვრობდი, ვცდილობდი იმისთვის დიდი ხარჯი არ მიმეცა, ვცდილობდი აგრეთვე ყოველთვის და ყველაფერში მესიამოვნებინა.. ხასიათი ორივეს ფიცხი გვქონდა, მაგრამ ვიცოდით დროზე თავის დაჭერა. სცდილობდა ყოველთვის აეტანა ყოველგვარი საქმე ჩემის გულისათვის. ორის წლით ჩემზე უმცროსი იყო და ცხოვრებაში ჩემსავით ბევრის გამომცდელი.

გავიდა ერთი წელიწადი, რაც ჩვენ ერთად ცხოვრება დავიწყეთ და ჩემი ბედი ისევ უკუღმა დატრიალდა. ათასგვარი ჭორი, ადამიანის ბოროტი ენა, შინაური გარემოებები,— ყოველივე ეს ისე მოეწყო, რომ იმას უსათუოდ ცოლი უნდა შეერთო. მიჰყო ხელი ლოთობას,—ამით უნდოდა ჩემთვის თავი შეეძულებინა. მწყევლიდა მეც და თავის სიცოცხლესაც. ხან ბავშვივით სტიროდა... ბოლოს მითხრა, ორივემ თავი მოვიწამლოთო. რა მექნა: ნუგეშს არსაიდან არა ვხედავდი. ვემუდარებოდი, ცოლს ნუ შეირთავ მეთქი, მაგრამ ცოლის შერთვა საჭირო იყო იმის ოჯახისთვის, და მეც შევურიგდი ამ აზრს. ამ გვარად მე ნიღაბი ჩამოვიფარე; და განგებ გულდამშვიდებული ვურჩევდი ცოლის შერთვას, რა კი იმისი საცოლო კარგი ქალი იყო და შეეძლო ჩემზე უკეთესი ცოლობა გაეწია. ამ ქალბატონმა იცოდა, რომ მე ვცხოვრობდი იმის საქმროსთან და ფულით ხელიდან მაცლიდა. ბოროტი გულისა არა ვარ, ამიტომ მზად ვიყავ იმის გულისათვის ყველაფერი ჩამედინა. ამბობდნენ, ვითომ მე ქორწინების მოშლა მდომებოდეს. არა, პირ იქით სხვა ბინაზე გადავედი, რომ სულ დამვიწყებოდა წარსული. ქორწინების წინადღეს მოვიდა ჩემთან გამოსამშვიდობებლად. ეს იყო 27 სეკტემბერს 1897 წელს. ამ დღეს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. გაშმაგებულის ხვეწნა-კოცნით მეთხოვებოდა იგი.

(დასასრული იქნება)




ლიტერატორები კრიტიკოსის დანახვაზე.



კაცი. გაგაცილებ, ქალო! მგონია მიცნობთ?
ქალი. როგორ არა, გიცნობთ: იმ დღეს სილა რომ გაგარტყით მაგისათვისვე, ის არა ხართ?



მოსამსახურე ქალი. კიდევ ქალბატონს კითხულობთ? ნუ თუ მე ობვარ?
კაცი. უკეთესიც ხარ, მაგრამ უიმისოდ შენი შენახვის თავიც-კი არა მაქვს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი